



ფინანსური ანგარიშგების საბჭო

აუდიტის ტენდერები მითითებები საუკეთესო პრაქტიკის შესახებ

თებერვალი 2017

სახელმძღვანელოს ადაპტირებული ვერსია მომზადებულია
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის
მიერ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით

ფინანსური ანგარიშგების საბჭო (FRC) არის დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი, რომელიც პასუხისმგებელია ინვესტიციების გასაზრდელად მაღალი ხარისხის კორპორაციული მართვისა და ანგარიშგების ხელშეწყობაზე. ფინანსური ანგარიშგების საბჭო ადგენს გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვისა და ხელმძღვანელობის მართვისუნარიანობის კოდექსებს და ბუღალტრული აღრიცხვისა და აქტუარული საქმიანობის სტანდარტებს; ახორციელებს კორპორაციული ანგარიშგების ხარისხის მონიტორინგსა და შესაბამის ღონისძიებებს; და აწარმოებს აღსრულების დამოუკიდებელ მექანიზმებს ბუღალტრებისა და აქტუარებისთვის. როგორც გაერთიანებული სამეფოს კომპეტენტური ორგანო ფინანსურ ანგარიშგებაში საბჭო ადგენს აუდიტისა და ეთიკის სტანდარტებს და ახდენს აუდიტის ხარისხის მონიტორინგსა და უზრუნველყოფას.

ფინანსური ანგარიშგების საბჭო არ იღებს პასუხისმგებლობას პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე ფორმით წარმოქმნილ რომელიმე მხარის ზარალზე, მისთვის მიყენებულ ზიანს ან ხარჯზე, რომელიც განპირობებულია კონტრაქტით, დარღვევით ან სხვაგვარად რაიმე ქმედებიდან ან მიღებული (ან მიუღებელი) გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ნებისმიერი პირის მიერ ამ დოკუმენტზე დაყრდნობის ან სხვაგვარად გამოყენების შედეგად.

© The Financial Reporting Council Limited 2017

The Financial Reporting Council Limited is a company limited by guarantee. Registered in England number 2486368.

Registered Office: 8th Floor, 125 London Wall, London EC2Y 5AS

შინაარსი

შესავალი	4
რატომ არის საჭირო ტენდერი?	5
ტენდერის დრო	5
პროფესიული მომსახურების დაბალანსება	6
ინვესტორებთან ჩართულობა	6
პროცესზე პასუხისმგებლობა	7
პროცესის მიმოხილვა	8
ოფიციალური პროცესის დაწყებამდე	8
პროცესის სტრუქტურა	9
ტენდერის პროცესის პერიოდის ელემენტები	10
წინადადების დოკუმენტი	11
პრეზენტაციის დღე	11
გადაწყვეტილების მიღების მიდგომები	11
ოფიციალური გადაწყვეტილება	12
უკუკავშირი	12
ანაზღაურება	12
გარდამავალი ეტაპი	13

შესავალი

დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიებიდან ცნობილია, რომ ხელახალი ტენდერი და აუდიტორთა როტაცია ხელს უწყობს აუდიტის მიმართ ნდობის ამაღლებას და ასევე თვალსაჩინო ხდება აუდიტის ხარისხზე დაფუძნებით თუ როგორ იზრდება კონკურენცია. ამდენად, ფინანსური ანგარიშგების საბჭოს მიაჩნია, რომ შესაფერისი დროა მისი შენიშვნების განახლებისთვის იმის შესახებ თუ როგორ უნდა იყოს ეფექტიანი სატენდერო პროცესის საუკეთესო მხარდაჭერა. ეს ახალი დოკუმენტი მეტად ახდენს აქცენტირებას პროცესში მთელი აუდიტის კომიტეტის ჩართვაზე; პროცესის დაწყებამდე ფირმებთან თანამშრომლობაზე სწორი გუნდების წარდგენის უზრუნველსაყოფად; ხანგრძლივ დროზე, რომელიც საჭიროა ინვესტირებთან ჩართულობის ეფექტიანი და შეუფერხებელი პროცესის წარმართვისთვის.

2013 წელს გამოქვეყნებული დაკვირვებები საუკეთესო პრაქტიკის შესახებ შემუშავდა იმისათვის, რომ აუდიტის კომიტეტებს სატენდერო პროცესის ჩატარებაში დახმარებოდა 2012 წლის ოქტომბერში განახლებული გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად, რომელიც FTSE 350 ინდექსის კომპანიებს ავალდებულებდა, „შესრულების ან ახსნის“ საფუძველზე ყოველ 10 წელიწადში აუდიტორული მომსახურებისთვის ტენდერის გამოცხადებას. კონკურენციისა და ბაზრის მარეგულირებელმა ორგანომ მოგვიანებით გამოსცა ბრძანება, რომელიც მოჰყვა კონკურენციის კომისიის მოკვლევას კონკურენტუნარიანობის შესახებ FTSE 350 აუდიტორულ ბაზარზე ხელახალ ტენდერთან დაკავშირებით. მას შემდეგ ბევრი კომპანია აცხადებს ტენდერს აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებით და დაიწყო საუკეთესო პრაქტიკის ფორმირება.

შედეგად, ევროკავშირის კანონმდებლობა, სავალდებულო აუდიტის რეგლამენტისა და დირექტივის სახით, ძალაში შევიდა 2016 წლის 17 ივნისს. გაერთიანებულ სამეფოში დამოუკიდებელი აუდიტორებისა და მესამე ქვეყნის აუდიტორების რეგლამენტი 2016 წელს (SATCAR) შემოღებულ იქნა მოთხოვნა საჯარო ინტერესის მქონე ყველა სუბიექტისთვის¹ (PIEs) ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებით სულ მცირე ერთხელ ყოველ 10 წელიწადში და აუდიტორების როტაციის შესახებ სულ მცირე ერთხელ ყოველი 20 წლის შემდეგ.

უახლესი კანონმდებლობა შეიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს საჯარო დაინტერესების მქონე პირების (სადაც) აუდიტის კომიტეტებისთვის სატენდერო პროცესებთან დაკავშირებით, მათ შორის:

- აუდიტის კომიტეტებმა საბჭოს უნდა წარუდგინონ ორი შესაძლო აუდიტორული ფირმა, ერთ-ერთის დასაბუთებული უპირატესობის მითითებით.

- სატენდერო პროცესმა არ უნდა გამოიცილოს დიდი ოთხეულის არაწევრი ფირმის მონაწილეობა.

- უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სატენდერო პროცესის საშუალებით მონაწილე ფირმებისთვის ინფორმაციის მიწოდება, რომელიც მათ მისცემს შესამოწმებელი სუბიექტის საქმიანობაში გარკვევის შესაძლებლობას.

- უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სატენდერო პროცესში წინადადებების შესაფასებლად შერჩევის გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კრიტერიუმების გამოყენება და შერჩევის პროცედურის შესახებ დასკვნების თაობაზე ანგარიშის მომზადება და დადასტურება აუდიტის კომიტეტის მიერ.

- აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს გაერთიანებული სამეფოს აუდიტორული ფირმების შესახებ საჯარო ანგარიშების მიგნებები და დასკვნები, რომლებიც გამოქვეყნებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ (გაერთიანებულ სამეფოში ეს არის FRC - ფინანსური ანგარიშგების საბჭო).

FRC, როგორც გაერთიანებული სამეფოს კომპეტენტური ორგანო, პასუხისმგებელია აუდიტის კომიტეტების ეფექტიანობის მონიტორინგზე, რაც მოიცავს სატენდერო პროცესის ჩატარებას.

¹ სუბიექტები რომლებიც რეგისტრირებულნი არიან რეგულირებად საფონდო ბირჟაზე, ასევე, ბანკები და მზღვეველები, რომლებიც არ შედიან ლისტინგში

სატენდერო პროცესის საბოლოო მიზანია ისეთი აუდიტორული ფირმის დანიშვნა, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის, ყველაზე ეფექტიან და ქმედით აუდიტს; ამ დოკუმენტის მიზანია აუდიტის კომიტეტებისთვის იდეების მიწოდება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გახადონ აუდიტორის დანიშვნის პროცესი ეფექტიანი. ტენდერის ჩატარება შეიძლება ძვირადღირებული იყოს დროისა და რესურსების თვალსაზრისით, როგორც კომპანიებისთვის, ასევე აუდიტორული ფირმებისთვის, ამიტომ FRC ასევე აწვდის აუდიტის კომიტეტებს გარკვეულ იდეებს ტენდერის პროცესში ეფექტიანობის მიღწევასთან დაკავშირებით.

ამ შენიშვნების შემუშავებისას FRC-ის მიერ გაიმართა მრავალი მაგიდის შეხვედრები აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეებთან, რომლებმაც ცოტა ხნის წინ გაიარეს აუდიტის სატენდერო პროცესი ან რომლებიც აპირებდნენ ამის განხორციელებას; ინვესტორთა საზოგადოების წარმომადგენლებთან და აუდიტორული გარიგების უფროს პარტნიორებთან აუდიტორული ფირმების დიდი ექსპერტებიდან და ასევე სპეციალისტებთან ტენდერის მხარდაჭერის გუნდებიდან. ჩვენ ასევე მოვამზადეთ აუდიტის სატენდერო დოკუმენტაციისა და ბაზრის მონაწილეების მიერ მომზადებული მასალების განხილვა.

რატომ ჩაერთოთ ტენდერში?

მარეგულირებელი მოთხოვნის გარდა, იმ კომპანიებისგან მიღებული უკუკავშირი, რომლებმაც შეცვალეს აუდიტორები მოთხოვნების ცვლილების შემდეგ მიუთითებს, რომ შესაძლებელია ახალი ხედვის შედეგად სარგებლის მიღება. მაშინაც კი, თუ მოქმედი ფირმის ხელახალი დანიშვნა მოხდება, გამოცდილება აჩვენებს, რომ სატენდერო პროცესი თვითონ გამოაცოცხლებს აუდიტის მიდგომას.



რატომ არ გააკეთეთ ეს უფრო ადრე?



აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

FRC-ის მიერ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეების ხარისხის ყოველწლიური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სატენდერო პროცესის ჩატარება არ იყო ისეთი რთული, როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ აუდიტორული ფირმები ახლა უფრო გამოცდილნი არიან ტენდერების განხორციელებაში.

ტენდერის დრო

ვინაიდან აუდიტორების შეცვლა მნიშვნელოვანი პროცესია სუბიექტების უმრავლესობისა და მათი აუდიტის კომიტეტებისთვის, ცვლილების განრიგი უნდა იყოს კომიტეტის დღის წესრიგში, ტენდერის ან როტაციის მოთხოვნის შესრულებამდე რამდენიმე წლით ადრე. ტენდერის დროის განსაზღვრისას გასათვალისწინებელი ფაქტორები შემდეგია:

- საბჭოში შემდგომი ცვლილებების, განსაკუთრებით აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარისა და ფინანსური დირექტორის (CFO) ცვლილების ვადები;
- ცნობილი ოპერაციული ან სტრატეგიული ცვლილებები ბიზნესში, მათ შორის მნიშვნელოვანი შესყიდვები და გასხვისება ან სტ (IT) სისტემის ძირითადი ცვლილებები;
- გადაბარების პერიოდის ან „ერთობლივად მუშაობის“ პერიოდის დაშვება – რთული სუბიექტებისთვის ეს შეიძლება იყოს გახანგრძლივებული პერიოდი;
- კოორდინაცია ტენდერსა და კონფლიქტურ არააუდიტორულ მომსახურებას შორის (მაგ. საგადასახადო ან შიდა აუდიტის სამუშაო);
- ცვლილებების განრიგის შესაბამისობა დაკავშირებულ სუბიექტებთან; და
- კონკურენციის ფაქტორები, მათ შორის, შემთხვევები, როდესაც კონკურენტები სავარაუდოდ საკუთარ აუდიტის ტენდერს ატარებენ.

შესაძლოა მომგებიანი იყოს აუდიტის ტენდერის გამოცხადება ბოლო შესაძლო თარიღამდე, რათა ხელმისაწვდომი იყოს აუდიტორული ფირმებისა და აუდიტორული პარტნიორების ფართო არჩევანი.

შესაძლოა მომგებიანი იყოს აუდიტის გამოცხადება ბოლო შესაძლო თარიღამდე, რათა გქონდეთ აუდიტორული ფირმებისა და აუდიტორული პარტნიორების ფართო არჩევანი..

ტენდერის ჩატარების დროს შეიძლება საჭირო გახდეს ქვეყნების მიხედვით განსხვავებული როტაციის მოთხოვნების ურთიერთქმედების გათვალისწინება, როდესაც ჯგუფს აქვს სდპ-ები ევროკავშირის ერთზე მეტ ქვეყანაში. გაერთიანებული სამეფო მოითხოვს ტენდერის ხელახლა ჩატარებას 10 წლის შემდეგ და როტაციას 20 წლის შემდეგ. სხვა წევრმა ქვეყნებმა შეარჩიეს უფრო მოკლე ვადები. FRC-ის და ეკვივალენტურ ორგანოებს ევროკავშირის სხვა ქვეყნებში აქვთ უფლებამოსილება, გამონაკლის შემთხვევებში, მაქსიმუმ ორი წლით გაახანგრძლივონ ხელახალი ტენდერის და/ან როტაციის პერიოდი². შეიძლება მიზანშეწონილი იყოს იმის განხილვა, ხელმისაწვდომი იქნება თუ არა ასეთი გახანგრძლივება.

სდპ-ების აუდიტის კომიტეტებმა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სდპ-ებთან სხვა წევრ ქვეყნებში უნდა განიხილონ ჯგუფის მასშტაბით ტენდერის დროის კოორდინაცია. სდპ-ების შვილობილი საწარმოების აუდიტის კომიტეტები უნდა ჩართონ სატენდერო პროცესში თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად.

ზოგიერთ შემთხვევაში, როგორებიცაა შექენა ან რესტრუქტურისაცია, შეიძლება არ იყოს ნათელი, თუ როდის დაიწყო აუდიტორული გარიგება. FRC-ისთან, როგორც კომპეტენტურ ორგანოსთან, შეიძლება ჩატარდეს კონსულტაცია და გამოთქმულ იქნეს მოსაზრება, თუ როდის დაიწყო გარიგებები ამ შემთხვევებში. FTSE 350 ინდექსის კომპანიებმა ასევე უნდა აწარმოონ კონსულტაცია კონკურენციისა და ბაზრის ორგანოსთან.

პროფესიული სერვისების დაბალანსება



იმის გამო, რომ ინვესტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მაღალი ხარისხის გარე აუდიტს, აუდიტის ტენდერს პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ყველა სხვა არააუდიტორულ საქმიანობასთან შედარებით. როგორც ინვესტორი, ჩვენ არ განვიხილავთ პოტენციურ პრეტენდენტებს, რომლებიც უარს იტყვიან მონაწილეობაზე ან არ იქნებიან მიწვეული ტენდერში კომპანიისთვის არააუდიტორული სერვისის გაწევის გამო.



ინვესტორის წარმომადგენელი

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეები დაინტერესდნენ, თუ როგორ მართონ სხვადასხვა პროფესიული მომსახურების წინააღმდეგობრივი მოთხოვნები და მიანიჭონ თუ არა პრიორიტეტი აუდიტორულ ურთიერთობას. ინვესტორებთან დისკუსიიდან ირკვევა, რომ მათი აზრით, აუდიტი უნდა იყოს „წამყვანი“ მომსახურება.

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეებთან ჩვენი დისკუსიისას რამდენიმემ აღნიშნა, რომ ისინი მოელოდნენ, მოწვეული ფირმების მონაწილეობას ტენდერში და მათი მხრიდან პროცესის სეროიზულად აღქმას, არააუდიტორული მომსახურების გაწევის მიუხედავად.

კომპანიებმა, რომლებიც იყენებენ რამდენიმე ფირმას სხვადასხვა სახის რჩევის მისაღებად, უნდა შეიმუშაონ პროფესიული მომსახურების შესყიდვის გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს მინიმუმ ორი ფირმის მონაწილეობას აუდიტის სატენდერო პროცესში და აუდიტორის დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას დანიშვნამდე, კომპანიის მიერ მიღებულ სხვა სერვისებზე გაუთვალისწინებელი ზემოქმედების გარეშე.

ინვესტორებთან ურთიერთობა



ტენდერის ჩატარება აყალიბებს ტონს აუდიტის საკითხთან მიმართებით და აუდიტის კომიტეტებს უნდა შეეძლოს აჩვენონ ტენდერის პროცესის მფლობელობა.



ინვესტორის წარმომადგენელი

სავალდებულო აუდიტის საბოლოო კლიენტები არიან ინვესტორები და არა კომპანიები და მათი სახელით მოქმედი აუდიტის კომიტეტები. ამიტომ მნიშვნელოვანი აქციონერები დაინტერესებულნი არიან გამჭვირვალე სატენდერო პროცესით. აუდიტის კომიტეტებს მოეთხოვებათ თავიანთ წლიურ ანგარიშში გაამყდონ, რომ ტენდერი ტარდება. თუ ამ ინფორმაციის მიწოდება საკმარისად ადრე არ ხდება იმისათვის, რომ ინვესტორებს მიეცეთ ჩართვის შესაძლებლობა, აუდიტის კომიტეტებმა უნდა განიხილონ სხვა გზები აქციონერთა გასაფრთხილებლად სატენდერო პროცესის დაწყების შესახებ. პროცესში არის რამდენიმე მომენტი, სადაც კომპანიას შეუძლია ჩართოს თავისი აქციონერები, მაგრამ ინვესტორები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ადრეულ ეტაპზე ტენდერის ჩატარების შესახებ.

სდპ-ების აუდიტის კომიტეტებმა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სდპ-ებთან სხვა წევრ ქვეყნებში უნდა განიხილონ ჯგუფის მასშტაბით ტენდერის დროის კოორდინაცია. სდპ-ების შვილობილი საწარმოების აუდიტის კომიტეტები უნდა ჩართონ სატენდერო პროცესში თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად.

კომპანიებმა, რომლებიც იყენებენ რამდენიმე ფირმას სხვადასხვა სახის რჩევის მისაღებად, უნდა შეიმუშაონ პროფესიული მომსახურების შესყიდვის გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს მინიმუმ ორი ფირმის მონაწილეობას აუდიტის სატენდერო პროცესში და აუდიტორის დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას დანიშვნამდე, კომპანიის მიერ მიღებულ სხვა სერვისებზე გაუთვალისწინებელი ზემოქმედების გარეშე.

² <https://www.frc.org.uk/FRC-Documents/FRC/Governance-and-legal/Process-for-applications-to-extend-the-maximum-dur.pdf>

კომპანიები უნდა დაუკავშირდნენ ინვესტორებს ოფიციალური პროცესის დაწყებამდე და გაარკვიონ ინვესტორების შეხედულებები, მონაწილე ფირმებთან დაკავშირებით თავისი არჩევანის დასასაბუთებლად.

გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მმართველობის კოდექსი³ მოითხოვს („შესრულების ან ახსნის“ საფუძველზე) აუდიტის კომიტეტების მიერ აუდიტის ხანგრძლივობის შესახებ ანგარიშგებას და წინასწარი შეტყობინების წარდგენას ხელახალი ტენდერის გეგმის შესახებ⁴.

ინვესტორები მიესალმებიან სატენდერო პროცესის განრიგის მკაფიო გამოცხადებას, მათ შორის, თუ როდის ჩატარდება პროცესი და რომელი წლის ბოლო იქნება პირველი ახალი აუდიტორისთვის. თუ წლიური ანგარიშის გამოქვეყნება ძალიან გვიანდება ამ პროცესში, კომპანიებმა უნდა განიხილონ გამოქვეყნების სხვა ფორმები, ისევე როგორც პირდაპირი ჩართულობა უმსხვილეს ინვესტორებთან.

ინვესტორებს აინტერესებთ, რომელი ფირმები არიან მოწვეული ტენდერში და განიხილება თუ არა ფირმები დიდი ოთხეულის გარდა. კერძოდ, ინვესტორებს სურთ იცოდნენ, ნაკლებად რთული სუბიექტების აუდიტის კომიტეტები იწვევენ თუ არა ფირმებს დიდი ოთხეულის მიღმა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

ინვესტორებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფეროა პოტენციური „ინტერესთა კონფლიქტი“. ინვესტორები აცნობიერებენ, რომ ინტერესთა კონფლიქტი მოხდება, ამიტომ მათ სურთ გამჭვირვალობა პოტენციურ კონფლიქტებთან დაკავშირებით და მათი შემსუბუქება და/ან მართვა.

ჩართულობა და გამჭვირვალობა თანაბრად მნიშვნელოვანია პროცესის ბოლოს. რამდენიმე ინვესტორმა აღნიშნა, რომ მათ სურდათ გადაწყვეტილების განმაპირობებელი ფაქტორების ცოდნა, თუ როგორ ხდება კონფლიქტების შემსუბუქება და/ან მართვა და რა ტიპის შემოწმება განხორციელდა, განსაკუთრებით აუდიტორული გარიგების პარტნიორთან დაკავშირებით.

აუდიტის კომიტეტს ასევე შეუძლია ჩართოს ინვესტორები აუდიტორის მიერ შემოთავაზებულ ანგარიშის ხასიათისა და მასშტაბის საკითხის შესახებ; სტანდარტი იძლევა მნიშვნელოვან მოქნილობას ინოვაციისთვის.

პროცესზე პასუხისმგებლობა

აუდიტის კომიტეტმა საბჭოს უნდა წარუდგინოს ორი შესაძლო ვარიანტი, ერთ-ერთის დასაბუთებული უპირატესობის მითითებით.

აუდიტის კომიტეტის ყველა წევრს და არა მხოლოდ მის თავმჯდომარეს, კარგად უნდა ესმოდეს სამართლებრივი მოთხოვნები, სატენდერო პროცესის მექანიზმები და თუ რის მიღწევას ცდილობს კომპანია ამ პროცესიდან. კომპანიებს შეუძლიათ სთხოვონ კომპანიის მდივანს ან მოქმედ აუდიტორულ ფირმას (იმ პირობით, რომ მოქმედი ფირმა არ იქნება შემდეგ პროცესის ნაწილი) აუდიტის სატენდერო პროცესების შესახებ მოკლე ინფორმაციის მოწოდება, რათა უზრუნველყონ, რომ აუდიტის კომიტეტის ყველა წევრს ჰქონდეს წარმოდგენა თავიანთ პასუხისმგებლობებზე.

ინვესტორები მოელოებიან, რომ აუდიტის კომიტეტი მნიშვნელოვან მონაწილეობას მიიღებს სატენდერო პროცესში, რომელსაც უხელმძღვანელებს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე. აუდიტის კომიტეტის წევრებმა სათანადოდ უნდა შეაფასონ დამატებითი დრო, რომელიც დასჭირდება აუდიტის კომიტეტის ყველა წევრს სატენდერო პროცესის დროს.

აუდიტის კომიტეტის ყველა წევრი ჩართული უნდა იყოს სატენდერო პროცესში.



აუდიტის კომიტეტები უნდა ფლობდნენ ტენდერის პროცესს და შეეძლოთ ამის დემონსტრირება.



ინვესტორის წარმომადგენელი

კომპანიები უნდა დაუკავშირდნენ ინვესტორებს ოფიციალური პროცესის დაწყებამდე და გაარკვიონ ინვესტორების შეხედულებები, მონაწილე ფირმებთან დაკავშირებით თავისი არჩევანის დასასაბუთებლად.

აუდიტის კომიტეტის ყველა წევრს და არა მხოლოდ მის თავმჯდომარეს, კარგად უნდა ესმოდეს სამართლებრივი მოთხოვნები, სატენდერო პროცესის მექანიზმი და თუ რის მიღწევას ცდილობს კომპანია ამ პროცესიდან. კომპანიებს შეუძლიათ სთხოვონ კომპანიის მდივანს ან მოქმედ აუდიტორულ ფირმას (იმ პირობით, რომ მოქმედი ფირმა არ იქნება შემდეგ პროცესის ნაწილი) აუდიტის სატენდერო პროცესების შესახებ მოკლე ინფორმაციის მოწოდება, რათა უზრუნველყონ, რომ აუდიტის კომიტეტის ყველა წევრს ჰქონდეს წარმოდგენა თავიანთ პასუხისმგებლობებზე.

აუდიტის კომიტეტის ყველა წევრი უნდა იყოს ჩართული სატენდერო პროცესში.

³ გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსი (დებულება C.3.8) – 2016 წლის აპრილი

⁴ კოდექსის ეს დებულება ემთხვევა მსხვილი კომპანიების სავალდებულო აუდიტორული მომსახურების ბაზრის მოკვლევის ბრძანების მე-4 ნაწილს (კონკურენტული სატენდერო პროცესების სავალდებულო გამოყენება და აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობები) 2014 წ.

პროცესის მიმოხილვა

საკუთრივ სატენდერო პროცესი შეიძლება რამდენიმე ეტაპად დაიყოს.

1 ოფიციალური პროცესის დაიწყებამდე

- ფირმების შერჩევა ტენდერში ჩასართავად
- ტენდერში ჩასართავი ფირმების რაოდენობა
- თითოეულ ფირმაში აუდიტის სათანადო გუნდის არჩევა
- წარმატების გადაწყვეტი ფაქტორების განსაზღვრა

2 სატენდერო პროცესის პერიოდი

- სატენდერო წინადადების მოთხოვნა (RFP)
- მონაცემებთან წვდომის უზრუნველყოფა
- მენეჯმენტთან წვდომის უზრუნველყოფა
- ტექნიკური გამოწვევები

3 სატენდერო წინადადების დოკუმენტი

4 პრეზენტაციის დღე

5 გადაწყვეტილების მიღება

- შეფასების ბარათები
- ვინ იღებს გადაწყვეტილებას
- საცნობარო ინფორმაცია

ოფისიალური პროცესის დაწყებამდე

ტიპურ სატენდერო პროცესს, წინადადებების მოთხოვნიდან (Request for Proposal - RFP) გადაწყვეტილების მიღებამდე, დაახლოებით სამი თვე სჭირდება, მაგრამ წინასწარი მომზადების დრო შეიძლება რამდენიმე თვე ან წელი იყოს. ოფიციალური პროცესის დაწყებამდე რამდენიმე ამოცანა უნდა შესრულდეს.

ფირმების შერჩევა ტენდერში ჩასართავად

აუდიტის კომიტეტებმა უნდა განიხილონ ფირმების ფართო სპექტრი, როგორც დიდი ოთხეულის წევრები, ისე არაწევრები და ამ თემაზე ინვესტორებთან ითანამშრომლონ.

აუდიტის კომიტეტებმა ფირმებს უნდა სთხოვონ FRC-ის მიერ მომზადებული აუდიტის ხარისხის მიმოხილვის უახლესი ანგარიში პროცესის ადრეულ ეტაპზე, ფირმის აუდიტის ხარისხის (FRC-ის) შეფასებაში გასარკვევად.

სხვა ფაქტორები, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცესში მონაწილე ფირმების შერჩევას, მოიცავს მათ დარგობრივ გამოცდილებას და კომპანიის გეოგრაფიულ გავრცელებას.

ფირმებს უნდა ეთხოვოდ კონფლიქტის შემოწმების განხორციელება პროცესის ამ ადრეულ ეტაპზე, ისევე როგორც RFP-ის დროს და დაუყოვნებლივ გადაწყვეტილების მიღებამდე.

ტენდერში ჩასართავი ფირმების რაოდენობა

ტიპური სატენდერო პროცესი მოიცავს სამ ან ოთხ აუდიტორულ ფირმას, თუმცა ზოგიერთ დარგში, განსაკუთრებით ფინანსური მომსახურების სფეროში, წარმოიქმნება ინტერესთა მრავალი კონფლიქტი, რამაც შეიძლება გაართულოს პროცესში ჩართული ორზე მეტი ფირმის იდენტიფიცირება, სამართლებრივი მოთხოვნის თანახმად, აუდიტის კომიტეტმა სრულ საბჭოს უნდა წარუდგინოს სულ მცირე ორი ფირმა, ერთი ფირმის უპირატესობის დასაბუთებით.

თითოეულ ფირმაში აუდიტის სათანადო გუნდის შერჩევა

ფირმისგან მიღებული სატენდერო წინადადების ძირითადი ელემენტია გარიგების გუნდის შემადგენლობა. მნიშვნელოვანია პროცესის ბოლოს არ გაირკვეს, რომ ფირმა ვერ დაინიშნება მისი წევრის შეუფერებლობის გამო. ამდენად სულ უფრო მეტად წარმოებს აუდიტის პარტნიორის „წინასწარი შერჩევა“.

კომპანიებს მკაფიოდ უნდა ესმოდათ თუ რა უნარები და გამოცდილება უნდა გააჩნდეს გარიგების პარტნიორს. ფირმამ უნდა წარმოადგინოს ორი-სამი პარტნიორი პროცესის დასაწყისში იმისთვის, რომ აუდიტის კომიტეტმა შეარჩიოს, თუ ვინ უხელმძღვანელებს ტენდერის პროცესს.

აუდიტის კომიტეტებმა ფირმებს უნდა სთხოვონ FRC-ის მიერ მომზადებული აუდიტის ხარისხის მიმოხილვის უახლესი ანგარიში, პროცესის ადრეულ ეტაპზე, ფირმის აუდიტის ხარისხის (FRC-ის) შეფასებაში გასარკვევად.

ფირმებს უნდა ეთხოვოდ ინტერესთა კონფლიქტის გადამოწმება პროცესის ადრეულ ეტაპზე, ისევე როგორც RFP-ის დროს და დაუყოვნებლივ გადაწყვეტილების მიღებამდე.

კომპანიებს მკაფიოდ უნდა ესმოდათ თუ რა უნარები და გამოცდილება უნდა გააჩნდეს გარიგების პარტნიორს. ფირმამ უნდა წარმოადგინოს ორი-სამი პარტნიორი პროცესის დასაწყისში იმისთვის, რომ აუდიტის კომიტეტმა შეარჩიოს, თუ ვინ უხელმძღვანელებს ტენდერის პროცესს.

აუდიტის გარიგების პარტნიორებს შეუძლიათ მუშაობა მხოლოდ ხუთი წლის განმავლობაში⁵, მანამდე სანამ როტაცია გახდება საჭირო.

კომპანიებმა უნდა სთხოვონ ფირმებს აუდიტის გუნდების ჩანაცვლების გეგმის მონახაზი, რათა წარმოდგენა შეეძინათ ფირმაში არსებული ნიჭის შესახებ და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ახლა არსებობს სამართლებრივი მოთხოვნა, რომ სდპ-ის აუდიტის გუნდის წევრები უნდა დაექვემდებარონ თანდათანობითი როტაციის პროცესს.

ინვესტორებმა და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეებმა გამოთქვეს შემოთავაზება FRC-ის წინაშე, რომ ფირმები იყენებენ "ვარსკვლავურ" აუდიტის პარტნიორებს აუდიტის კონტრაქტის მისაღებად, შემდეგ ხდება ასეთი პარტნიორების როტაცია ხუთწლიანი პერიოდის გასვლამდე ან რეალურად, აუდიტის დიდი ნაწილის დელეგირება ხდება მეორე პარტნიორზე.

განხილულ უნდა იქნეს ფირმის მიერ გარიგების პარტნიორისგან ხუთწლიანი ვადით საქმიანობის მოთხოვნა და მომავალ წლებში (როდესაც სატენდერო საქმიანობის ისტორია დაგროვდება), მონაცემების მოთხოვნა იმის შესახებ, თუ რა ვადის განმავლობაში ასრულებდა პარტნიორი გარიგების პარტნიორის როლს.

წარმატების გადამწყვეტი ფაქტორების განსაზღვრა

აუდიტის კომიტეტისთვის აუდიტის მომზადების პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია წინადადების წარმატების გადამწყვეტი ფაქტორების განსაზღვრა. ეს განსხვავებული იქნება თითოეული კომპანიისთვის, მაგრამ ძირითადი ფაქტორების სიცხადე, რომლებიც განაპირობებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, იწვევს აუდიტორული ფირმების უფრო ფოკუსირებულ მოთხოვნებს და პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას. წარმატების გადამწყვეტი ფაქტორები შეიძლება იყოს:

- ფირმის და აუდიტის გუნდის დარგობრივი გამოცდილება;
- მთავარი პარტნიორისა და ფირმის გამოცდილება და აუდიტის ხარისხი;
- ტექნოლოგიის დაგეგმილი გამოყენება აუდიტის პროცესში;
- ქსელური ფირმის მხრიდან გეოგრაფიული დაფარვა; და

- მსგავსი აუდიტების გამოცდილება.

პროცესის სტრუქტურა

სატენდერო პროცესის საბოლოო მიზანია აუდიტორული ფირმის დანიშვნა, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის, ყველაზე ქმედით და ეფექტიან აუდიტს. პროცესი უნდა იყოს შემუშავებული ისე, რომ აუდიტის კომიტეტს მიაწოდოს მინიმუმ ორი კანდიდატი ფირმა დასახელებული გარიგების გუნდებით, რომლებსაც აუდიტის კომიტეტი მიიჩნევს კარგ კანდიდატებად დანიშვნისთვის. მასადასრულდა, ეფექტიანი სატენდერო პროცესის ერთ-ერთი მახასიათებელია „გამშვები პუნქტების“ შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს სანდო წინადადებების შეთავაზებას გადაწყვეტილების მიღების მომენტში, ხშირად ეს ხდება პრეზენტაციის დღეს.

უნდა დაინიშნოს პირი, რომელიც პასუხისმგებელია იმის უზრუნველყოფაზე, რომ ყველა ჩართული ფირმა სათანადოდ აგრძელებს პროცესს. კომპანიის გარემოებებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი ან ფინანსური მიმართულების წარმომადგენელი.

ასევე შეიძლება ეფექტიანი იყოს საკოორდინაციო ჯგუფის არსებობა, რომელიც განახორციელებს პროექტის ზედამხედველობას, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის, ფინანსური დირექტორისა და პროცესის ლოჯისტიკაზე პასუხისმგებელი პირის ჩათვლით.

საერთაშორისო კომპანიებმა უნდა განიხილონ, იქნება თუ არა სატენდერო პროცესი ძლიერ ცენტრალიზებული და იქნება თუ არა გათვალისწინებული ადგილობრივი მენეჯმენტის შეხედულებები გადაწყვეტილების მიღებისას. არსებობს ტენდერის მიმართ მიდგომების ფართო სპექტრი, დაწყებული სრულად ცენტრალიზებული მიდგომიდან, სადაც ადგილობრივი გუნდების განხილვა ხორციელდება აუდიტის კომიტეტის მიერ, დამთავრებული „მინი-შემოთავაზებებით“ ადგილობრივი აუდიტის გუნდებისა და ადგილობრივი მენეჯმენტისგან, რომლებიც გათვალისწინებულია გადაწყვეტილების მიღების საერთო პროცესში.

აუდიტის კომიტეტებმა უნდა განიხილონ უცხოური მენეჯმენტის ჩართულობის შესაბამისი დონე.

კომპანიებმა უნდა სთხოვონ ფირმებს თავისი აუდიტორული გუნდების ჩანაცვლების დაგეგმვა, ფირმაში არსებული ნიჭის სიღრმის შესახებ წარმოდგენის შექმნა და იმის გათვალისწინებით, რომ ახლა არსებობს სამართლებრივი მოთხოვნა, რომ სდპ-ის აუდიტის გუნდის წევრები უნდა დაექვემდებარონ თანდათანობითი როტაციის პროცესს.

განხილულ უნდა იქნეს ფირმის მიერ გარიგების პარტნიორისგან ხუთწლიანი ვადით საქმიანობის მოთხოვნა და მომავალ წლებში (როდესაც სატენდერო საქმიანობის ისტორია დაგროვდება), მონაცემების მოთხოვნა იმის შესახებ, თუ რა ვადის განმავლობაში ასრულებდა პარტნიორი გარიგების პარტნიორის როლს.

უნდა დაინიშნოს პირი, რომელიც პასუხისმგებელია იმის უზრუნველყოფაზე, რომ ყველა ჩართული ფირმა სათანადოდ აგრძელებს პროცესს. კომპანიის გარემოებებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი ან ფინანსური მიმართულების წარმომადგენელი.

⁵ გამონაკლისად ეს შეიძლება გაგრძელდეს აუდიტის კომიტეტის ნებართვით არაუმეტეს შვიდი წლის განმავლობაში, თუ არსებობს მწვავე მიზეზი, მაგ. შეინარჩუნოს აუდიტის ხარისხი ცვლილებების პერიოდში.

სატენდერო პროცესის პერიოდის ელემენტები

პროცესის დასაწყისი

პროცესის ოფიციალური დასაწყისია წინადადებების მოთხოვნის გამოქვეყნება (RFP). ზოგიერთი აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე არ იყო დარწმუნებული, თითოეულ აუდიტორულ ფირმაში ვისთვის მიეწოდებინა წინადადების მოთხოვნა (RFP). ფირმებისთვის ნათელია, რომ RFP შეიძლება გაიგზავნოს აუდიტის პარტნიორთან, რომელთანაც კომპანიას აქვს ურთიერთობა, ან პირდაპირ აუდიტის ხელმძღვანელთან.

RFP უნდა შეიცავდეს ძირითად ინფორმაციას სატენდერო პროცესთან დაკავშირებით, როგორცაა ვადები და საკონტაქტო დეტალები და შედეგების ამსახველი ანგარიშების დასახელების მითითებას, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია აუდიტორული ფირმებისგან. ის ასევე უნდა შეიცავდეს შერჩევის კრიტერიუმებს, რომლებიც გამოყენებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

მონაცემთა ცენტრთან უზრუნველყოფა

მონაცემთა ცენტრები ფართოდ გამოიყენება სატენდერო პროცესში და ძალიან ეფექტიანია ყველა ფირმისთვის ერთნაირი ინფორმაციის მიწოდებაში. თუმცა, დეტალების დონე შეიძლება იყოს გადატვირთული და ხელი შეუშალოს ფირმებს ბიზნესის შესახებ თავისი წარმოდგენისა და შეთავაზებული აუდიტის მიდგომის კომუნიკაციაში.

სუბიექტებმა უნდა გაიარონ კონსულტაცია მოქმედ აუდიტორთან მონაცემთა ბაზაში შესატანი ყველაზე სასარგებლო ინფორმაციის განსასაზღვრად. მოქმედი აუდიტორის უახლესი აუდიტის გეგმა და აუდიტის ფარგლები აუდიტორული ფირმების აზრით, მეტად სასარგებლო იყო.

მენეჯმენტთან წვდომის უზრუნველყოფა

მენეჯმენტთან წვდომა სატენდერო პროცესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ფირმებს საშუალებას აძლევს გაერკვნენ ბიზნესში, მაგრამ ასევე იძლევა ღირებულ შესაძლებლობას აუდიტის ჯგუფის წევრების შესაფასებლად.

სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა ფირმას ჰქონდეს თანაბარი წვდომა მენეჯმენტთან.

ამის მართვა შესაძლებელია სხვადასხვა გზით:

– „სწრაფი გაცნობის“ ერთი დღე (ან მეტი). მენეჯმენტის რამდენიმე წევრი ხელმისაწვდომია თითოეული ფირმის აუდიტის გუნდებთან შეხვედრებისთვის. აუდიტის გუნდების როტაცია წარმოებს მენეჯმენტის წევრების (და შესაძლოა ასევე არა-აღმასრულებელი დირექტორების) ირგვლივ. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს ვინ არის ხელმისაწვდომი, აუდიტორულ ფირმებს შეიძლება ჰქონდეს, ვისთან სურთ შეხვედრა (ან ორივე). „სწრაფ გაცნობას“ შეუძლია მენეჯმენტის მხრიდან დასათმობი დროის შემცირება ჩართულობის კონკრეტული დროის განსაზღვრით;

– ეწყობა გარკვეული ვიზიტები აუდიტის თითოეული გუნდისთვის ადგილობრივ მენეჯმენტთან შესახვედრად; და

– ღია შეხვედრა ყველა ფირმასთან, რომლებიც მოწვეულნი არიან მენეჯმენტისთვის კითხვების დასასმელად. აღნიშნულის უპირატესობა ისაა, რომ ამცირებს მენეჯმენტისგან საჭირო დროს, მაგრამ ზღუდავს უკუკავშირის სარგებელს, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს ფირმების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკაა, რომ ერთი და იგივე ადამიანები/გუნდები ხელმისაწვდომი იყოს ყველა ფირმისთვის, მაშინაც კი, თუ ფირმას არ მოუთხოვია თავიდან კონკრეტულ გუნდთან შეხვედრა.

ტექნიკური გამოწვევები

“ტექნიკური“ გამოწვევები ფართოდ გამოიყენება სატენდერო პროცესში, ან პროცესის დროს - ან თავად პრეზენტაციის დღეს, რადგან ისინი იძლევა ფირმის სხვადასხვა კრიტერიუმის ფართო სპექტრის მიხედვით შეფასების შესაძლებლობას. მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით არსებული გამოწვევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც გარიგების გუნდის ტექნიკური კომპეტენციის, ისე ცენტრალური ტექნიკური გუნდის რეაგირების შესაფასებლად. ეთიკისა და დამოუკიდებლობის შესახებ კითხვები ასევე ხშირად გამოიყენება ფირმების შესაფასებლად. ყველა გამოწვევა, როგორც წესი, გვთავაზობს ხედვას ფირმის კულტურის შესახებ, მაგალითად, თუ რა მოცულობის ინფორმაციას საჭიროებენ აუდიტის პარტნიორები საკითხთან დაკავშირებით აზრის დაფიქსირებამდე.

აუდიტის კომიტეტებმა უნდა განიხილონ, თუ რა ანალიზის მიღება სურთ აუდიტორულ ფირმებთან ტექნიკური გამოწვევის წამოჭრისას და უნდა ესმოდეთ, რომ შეიძლება ჩანდნენ როგორც „მოსაზრების მყიდველები“ (“opinion shopping”).

სუბიექტებმა უნდა გაიარონ კონსულტაცია მოქმედ აუდიტორთან მონაცემთა ცენტრში შესატანი ყველაზე სასარგებლო ინფორმაციის განსასაზღვრად. მოქმედი აუდიტორის უახლესი აუდიტის გეგმა და აუდიტის ფარგლები აუდიტორული ფირმების აზრით, მეტად სასარგებლო იყო.

საუკეთესო პრაქტიკაა, რომ ერთი და იგივე ადამიანები/გუნდები ხელმისაწვდომი იყოს ყველა ფირმისთვის, მაშინაც კი, თუ ფირმას არ მოუთხოვია თავიდან კონკრეტულ გუნდთან შეხვედრა.

აუდიტის კომიტეტებმა უნდა განიხილონ, თუ რა ანალიზის მიღება სურთ ტექნიკური პრობლემის წამოჭრისას და უნდა ესმოდეთ რომ შეიძლება ჩანდნენ როგორც „მოსაზრების მყიდველები“. ამ მხრივ, უპირატესობა ენიჭება მომავალზე ორიენტირებულ ქმედებას, რომელიც ცდილობს ფირმის მიდგომის შეფასებას, ვიდრე მოსაზრების მოპოვებას იმ საკითხის შესახებ, რომელიც უკვე შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებებში ან რომელთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

ამ მხრივ, უპირატესობა ენიჭება მომავალზე ორიენტირებულ ქმედებას, რომელიც ცდილობს ფირმის მიდგომის შეფასებას, ვიდრე მოსაზრების მოპოვებას იმ საკითხის შესახებ, რომელიც უკვე შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებებში ან რომელთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

წინადადებათა დოკუმენტი

წინადადების მოთხოვნა, როგორც წესი, მოიცავს დოკუმენტის მოთხოვნას, რომელიც სხვადასხვა სფეროს ეხება. ასეთი დოკუმენტები შეიძლება მეტად დეტალური იყოს. ამ დოკუმენტების მომზადება მოითხოვს დიდ ძალისხმევას აუდიტორული ფირმების მხრიდან და შინაარსის სათანადო ანალიზი მოითხოვს კომპანიის მხრიდან რესურსების მნიშვნელოვან ინვესტიციას.

აუდიტის კომიტეტებმა მიზნად უნდა დაისახონ დოკუმენტის მოცულობის შემოფარგვლა გვერდების გარკვეული რაოდენობით (20 გვერდი ჩვეულებრივი პრაქტიკაა) და ყურადღებით განიხილონ თუ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ის და როგორ იქნება გამოყენებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შეიძლება მიზანშეწონილი იყოს მენეჯმენტის წევრის ან საბჭოს მდივნის წარდგენა დოკუმენტების განხილვისა და შეჯამებისთვის, წინადადებებში ძირითადი განსხვავებების ხაზგასმით.

პრეზენტაციის დღე

ტიპური პრაქტიკაა, ყველა ფირმასთან ერთსა და იმავე დღეს შეხვედრა და თითოეული ფირმისთვის 60-90 წუთის გამოყოფა. ამ დროის დაახლოებით ნახევარი დაეთმობა ფირმას პრეზენტაციის გასაკეთებლად, ხოლო დარჩენილი დრო კითხვა-პასუხის სესიას.

საუკეთესო პრაქტიკაა პრეზენტაციებზე აუდიტის კომიტეტის სრული შემადგენლობით დასწრება.

მენეჯმენტი, მაგალითად ფინანსური დირექტორი ხშირად ესწრება პრეზენტაციას. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეებმა უნდა განიხილონ, რამდენად უწყობს ხელს მენეჯმენტი კითხვა-პასუხის და გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

კომპანიებმა უნდა განიხილონ, ვინ უნდა დაესწროს პრეზენტაციას აუდიტორული ფირმებიდან ორგანიზაციის საჭიროებიდან გამომდინარე და აუდიტის გუნდის რომელი ასპექტის შეფასებას ცდილობენ:

- თუ უცხოური შვილობილი კომპანია განსაკუთრებით დიდია ან მნიშვნელოვანი აუდიტის რისკის პროფილისთვის, შეიძლება მოწვეული იყოს ამ სუბიექტისთვის შემოთავაზებული ძირითადი აუდიტის პარტნიორი.
- თუ ბიზნესს აქვს კონკრეტული საგადასახადო, აქტუარული, სტ ან სხვა სპეციალისტის საჭიროება, მაშინ გუნდში შეიძლება მოიწვიონ ამ პასუხისმგებლობების მქონე პირები.
- თუ აუდიტის კომიტეტს სურს აუდიტის გუნდის დინამიკის შეფასება, მაშინ შეიძლება ასევე მოიწვიონ აუდიტის ჯგუფის უფრო უმცროსი წევრები.

გადაწყვეტილებას მიღების მიღმომავალი

შეფასების ბარათები

აუდიტის ბევრი კომიტეტი ავითარებს საანგარიშო მიდგომას ფირმების აუდიტის ხარისხის შეთავაზების შესაფასებლად. ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროცესის დროს, მაგალითად, აუდიტის ჯგუფის მენეჯმენტთან შეხვედრებიდან უკუკავშირის შესაგროვებლად, ასევე წინადადების დოკუმენტის საბოლოო პრეზენტაციისა და განხილვისას.

აუდიტის კომიტეტებმა უნდა განიხილონ რა მნიშვნელობა ენიჭება მენეჯმენტის მიერ აუდიტის გუნდების შეფასებას, რომელიც მოპოვებულია ტენდერის პროცესის დროს კომუნიკაციისას.

ვინ და როგორ იღებს გადაწყვეტილებას?

აუდიტის კომიტეტებმა უნდა განიხილონ გადაწყვეტილების მიღების საუკეთესო მეთოდი, კენჭისყრით თუ განხილვის გზით და მიღებულუნდა იქნეს თუ არა გადაწყვეტილება პრეზენტაციის დღეს თუ დაფიქრებისთვის საჭირო დროის შემდეგ.

აუდიტის კომიტეტებს შეუძლიათ აუდიტის გუნდების მიერ წარდგენილი პრეზენტაციების გაცნობა (დოკუმენტების ან შეფასების ბარათების თავდაპირველი განხილვის გარეშე) – და შემდეგ თავიანთი შეფასების შედარება ბარათების/ დოკუმენტის შეფასებასთან.

აუდიტის კომიტეტებმა მიზნად უნდა დაისახონ დოკუმენტის მოცულობის შემოფარგვლა გვერდების გარკვეული რაოდენობით (20 გვერდი ჩვეულებრივი პრაქტიკაა) და ყურადღებით განიხილონ თუ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ის და როგორ იქნება გამოყენებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შეიძლება მიზანშეწონილი იყოს მენეჯმენტის წევრის ან საბჭოს მდივნის წარდგენა დოკუმენტების განხილვისა და შეჯამებისთვის, წინადადებებში ძირითადი განსხვავებების ხაზგასმით.

საუკეთესო პრაქტიკაა პრეზენტაციებზე აუდიტის კომიტეტის სრული შემადგენლობით დასწრება.

- აუდიტის კომიტეტებმა უნდა განიხილონ რა მნიშვნელობა ენიჭება მენეჯმენტის მიერ აუდიტის გუნდების შეფასებას, რომელიც მოპოვებულია ტენდერის პროცესის დროს კომუნიკაციისას.

ცნობები

სულ უფრო ხშირად ხდება კომპანიების მიერ აუდიტში ჩართული პირების შესახებ ინფორმაციის მოძიება. პრაქტიკა ამ მიმართულებით განსხვავებულია და მოიცავს როგორც ფირმისგან ინფორმაციის მოთხოვნას, ისე აუდიტის კომიტეტების მიერ საკუთარი ქსელის გამოყენებას არაოფიციალური ინფორმაციის მისაღებად.

აუდიტის კომიტეტებმა უნდა განიხილონ საუკეთესო მიდგომა წინადადებებში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.



ინვესტორებს სურთ იცოდნენ, თუ რა სახის სპეციალური მიმოხილვა განხორციელდა აუდიტის პარტნიორთან დაკავშირებით.



ინვესტორის წარმომადგენელი



აუდიტის კომიტეტებმა უნდა განმარტონ, რატომ გააკეთეს ასეთი არჩევანი და როგორ შესრულდა აუდიტის ხარისხის მოთხოვნები.



ინვესტორის წარმომადგენელი

ოფიციალური გადაწყვეტილება

კანონმდებლობა მოითხოვს რომ სდპ-ის აუდიტის კომიტეტმა აუდიტორის დანიშვნის შესახებ რეკომენდაციით მიმართოს საბჭოს. აუდიტის კომიტეტმა უნდა დაადასტუროს ან დაამტკიცოს ანგარიში ტენდერისა და დანიშვნის პროცესის შესახებ. ეს ანგარიში საშუალებას აძლევს აუდიტს დაქვემდებარებულ სუბიექტს აჩვენოს კომპეტენტურ ორგანოს (FRC), რომ პროცესი განხორციელდა დამოუკიდებლად და სამართლიანად და საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშის გასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილებას, ასეთი სურვილის შემთხვევაში, იღებს აუდიტირებული სუბიექტის საბჭო.

FRC მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს ქვეით ჩამოთვლილიდან ზოგიერთის ან ყველას კომბინაციით:

- (i) აუდიტის კომიტეტისთვის მომზადებული დოკუმენტი, რათა მხარი დაუჭიროს მის განხილვასა და საბჭოსთვის მიწოდებულ რეკომენდაციას დანიშვნასთან დაკავშირებით;
- (ii) საბჭოს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს აუდიტის კომიტეტის შეფასებასა და რეკომენდაციებს; და
- (iii) მასალა, რომელიც შეტანილია აუდიტის კომიტეტის წლიურ ანგარიშში, რომელიც განსაზღვრავს აუდიტის კომიტეტის ძირითად მიმართულებებს საანგარიშო წლის განმავლობაში.

უპუკავშირი

აუდიტორული ფირმებისთვის კარგი უპუკავშირი გადაწყვეტილების მიზეზებთან დაკავშირებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აუდიტის ბაზარზე სატენდერო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

ჩვენმა დისკუსიამ აუდიტორული ფირმის წარმომადგენლებთან მიანიშნა, რომ ფირმები ხშირად ფიქრობენ, რომ არ იღებენ ყოვლისმომცველ უპუკავშირს წარუმატებელი წინადადების მიზეზებთან დაკავშირებით.



ხშირად იგრძნობა, რომ გადაწყვეტილების რეალური მიზეზი არ არის მოცემული. სასარგებლო იქნება გულწრფელი უპუკავშირის მიღება.



აუდიტორული ფირმის წარმომადგენელი

აუდიტის კომიტეტები მზად უნდა იყვნენ, რომ ფირმებს ყოვლისმომცველი უპუკავშირი მიაწოდონ გადაწყვეტილების მიზეზებთან დაკავშირებით.

ანაზღაურება

აუდიტის კომიტეტმა უნდა აწარმოოს მოლაპარაკება საფასურის შესახებ და არა მენეჯმენტმა.

შეზღუდული მტკიცებულება (FRC ანალიზიდან დღემდე აუდიტის მომსახურების ანაზღაურების შესახებ) მიუთითებს, რომ არ აქვს ადგილი მნიშვნელოვან ზეწოლას ჰონორარზე ტენდერის პროცესის გამო.

აუდიტის კომიტეტებმა უნდა განიხილონ საუკეთესო მიდგომა წინადადებებში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

აუდიტის კომიტეტები მზად უნდა იყვნენ, რომ ფირმებს ყოვლისმომცველი უპუკავშირი მიაწოდონ გადაწყვეტილების მიზეზებთან დაკავშირებით.



ინვესტორები წუხილს გამოხატავენ, თუ აუდიტის
ჰონორარი დაბალია მსგავს კომპანიებთან
შედარებით.



ინვესტორის წარმომადგენელი

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეებთან საუბრისას
ცხადი იყო, რომ აუდიტორული მომსახურების
საფასურის დონეს მნიშვნელოვანი ყურადღება არ ექცევა
გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჰონორარის
შეთავაზება ხშირად საკმაოდ მსგავსი იყო ყველა
ფირმაში.

ზოგიერთმა აუდიტის კომიტეტმა ტენდერის პროცესი
ჰონორარის მითითების გარეშე წარმართა, სადაც
აუდიტის მომსახურების საფასურთან დაკავშირებით
მოლაპარაკება წარმოებს ფირმის დანიშვნის შემდეგ. FRC-
ის ჩართულობამ ინვესტორებთან გამოავლინა
არაერთგვაროვანი შეხედულებები ამ მიდგომის შესახებ,
ზოგიერთმა მიუთითა, რომ მათი აზრით, აუდიტის
საფასური იყო მინიმალური, მაგრამ სხვები უფრო მეტ
ყურადღებას აქცევდნენ ამ ხარჯს, როგორც მნიშვნელოვან
ფაქტორს.

აუდიტის კომიტეტებმა უნდა მოიძიონ მოსაზრებები
აუდიტის ჰონორარის შესახებ ტენდერის პროცესში
მსხვილ ინვესტორებთან ურთიერთობისას.

გარდასვლილი ეტაპი



გადასვლა საკმაოდ რთული იყო - ახალმა გუნდმა
ბევრი უნდა ისწავლოს. თუმცა, ახლა ჩვენ გვაქვს
უკეთესი ხარისხის აუდიტი და საბჭომ ბევრი რამ
ისწავლა.



აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე



საკმარისად დახარჯული დროის
არსებობა გადაწყვეტი ფაქტორია
გარდამავალი ეტაპის რისკის
მართვაში



აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

კანონმდებლობა ძველი აუდიტორებისგან მოითხოვს ახალი
აუდიტის გუნდისთვის ყველა რელევანტური აუდიტის
ინფორმაციის გაზიარებას. ეს მოიცავს ანგარიშგებას უახლესი
აუდიტის შესახებ აუდიტორისგან აუდიტის კომიტეტისთვის.

პარალელური მოქმედება (Shadowing) აუდიტის ბოლო წლის
განმავლობაში შეიძლება სასარგებლო იყოს ახალი გუნდის
მოსამზადებლად, მაგრამ არ უნდა იყოს გამოყენებული იმის
უზრუნველსაყოფად, რომ ფირმები შეთანხმდნენ
აუდიტორულ მსჯელობასთან დაკავშირებით.

გარდამავალი პერიოდი ასევე უნდა იქნას გამოყენებული
იმისთვის, რომ ახალი ფირმა აკმაყოფილებდეს
დამოუკიდებლობის შესაბამის მოთხოვნებს.

კომპანიებს აშინებდათ გარდამავალი პერიოდი, მაგრამ
აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეების გამოცდილებამ
აჩვენა, რომ ახალი აუდიტის გუნდს ხშირად მოჰყვება
ახლებური ხედვა. კომპანიები უნდა იყვნენ რეალისტურნი
ახალი აუდიტორის პირველი წლის მართვის მოთხოვნებისა
და მათთან დაკავშირებულ ხარჯებთან მიმართებით.

აუდიტის კომიტეტებმა უნდა განიხილონ, არის თუ არა მათი
პრიორიტეტები გარდამავალ პერიოდში უპრობლემო
ეფექტიანი გადასვლა, ბიძგისებური მიდგომა თუ ამ ორის
კომბინაცია.

აუდიტის ხარისხი, სავარაუდოდ, გაუმჯობესდება მტკიცე
მკვეთი მიდგომით გადასვლის მიმართ, რაც შეიძლება
მოიცავდეს სააღრიცხვო პოლიტიკის სიღრმისეულ
მიმოხილვას.

აუდიტის კომიტეტებმა უნდა
მოიძიონ მოსაზრებები აუდიტის
ჰონორარის შესახებ ტენდერის
პროცესში მსხვილ ინვესტორებთან
ურთიერთობისას.

პარალელური მოქმედება
აუდიტის ბოლო წლის
განმავლობაში შეიძლება
სასარგებლო იყოს ახალი გუნდის
მოსამზადებლად, მაგრამ არ უნდა

იყოს გამოყენებული იმის
უზრუნველსაყოფად, რომ
ფირმები შეთანხმდნენ
აუდიტორულ მსჯელობასთან
დაკავშირებით.

აუდიტის კომიტეტებმა უნდა
განიხილონ, არის თუ არა მათი
პრიორიტეტები გარდამავალ
პერიოდში უპრობლემო
ეფექტიანი გადასვლა,
ბიძგისებური მიდგომა თუ ამ
ორის კომბინაცია.



ფინანსური ანგარიშგების საბჭო

ფინანსური ანგარიშგების საბჭო

FINANCIAL REPORTING COUNCIL
8TH FLOOR
125 LONDON WALL
LONDON EC2Y 5AS

+44 (0)20 7492 2300

www.frc.org.uk